თბილისის

N 172 საჯარო სკოლის ინგლისური ენის პედაგოგის

თამარ ზურაბაშვილის

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა

მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების და ჩართულობის ხარისხის გაუმჯობესების გზების კვლევა მე 5 ა კლასში ინგლისური ენის გაკვეთილზე.

2018

სარჩევი

შესავალი---------- 1

თავი I---------- 2

საკვლევი საკითხის მიმოხილვა, პრობლემის აქტუალობის დასაბუთება სამიზნე ჯგუფი.

თავი II-----------3-4

ლიტერატურის მიმოხილვა

თავი III----------- 4-5

საკვლევი კითხვების ფორმულირება, კვლევის მიზნები და ამოცანები, კვლევის გეგმა

თავი IV---------- 6-8

კვლევის მეთოდების განხილვა, ინტერვენციის დაგეგმვა, ინტერვენციების შედეგი და მათი ანალიზი

თავი V----------9-12

ცხრილების და გრაფიკების ჩამონათვალი

თავი VI----------12 -13

პრაქტიკული კვლევის არსი და სკოლაში მისი დანერგვა

თავი VII----------13-24

პროექტის ვადები, მიგნებები , რეკომენდაციები, კვლევის ნაკლოვანებები, დასკვნა ,ბიბლიოგრაფია. რეფლექსია----------25-26

შესავალი

წინამდებარე ნაშრომში განხილულია თბილისის 172 საჯარო სკოლის 5 ა კლასში სწავლის პროცესში ნაკლები ჩართულობის და ამით განპირობებული დაბალი აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების საკითხი. ასევე ყურადღება გამახვილებულია საკვლევ საკითხთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ ინფორმაციაზე, პრობლემის გამომწვევ მიზეზებსა და მისი გადაჭრის შესაძლებლობაზე.

აკადემიური მოსწრება გლობალური საკითხია და მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს განათლების სისტემისთვის. მოცემული საკითხის კვლევისთვის შევიმუშავე გეგმა რომლის მიზანიც იყო მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხის გაზრდა სასწავლო პროცესში და ცოდნის დონის ამაღლება. კვლევა ჩატარდა როგორც თვისებრივი ,ისე რაოდენობრივი თვისებების

გამოყენებით, ინსტრუმენტებს კი წარმოადგენდა ფოკუს ჯგუფი ,დაკვირვება , ანკეტირება და კითხვარი. შედეგის მისაღწევად გამოყენებული იქნა ინტერვენციები რომლებიც კვლევის პროცესში საჭიროებიდან გამომდინარე დაიგეგმა.

დავგეგმე ინტერვენციები: თვითშეფასების ანკეტის შევსება4 თვის განმავლობაში, ჯგუფური მუშაობები სადაც გამოვიყენე SOL (თვითორგანიზებადი სწავლის) მიდგომა და დიფერენცირებული ჯგუფების შექმნა ,სადაც დიაგნოსტიკურ ტესტში მიღებული ქულების მიხედვით მოხდა მოსწავლეების ჯგუფებში დიფერენცირება .აგრეთვე სასწავლო პროცესში გამოვიყენე ისტ. და KAHOOT.IT პროგრამით სწავლება და სამოტივაციო ვიდეოს ყურება.

ნაშრომი შედგება 7 თავისგან. I თავში მოცემულია საკვლევი საკითხის მიმოხილვა ,კვლევის მიზანი და ამოცანები. I I თავში განხილულია ლიტერატურა გაკვეთილზე მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდის პრაქტიკის შესახებ. I I I თავში განხილულია საკვლევი კითხვები . IV თავში კვლევის მეთოდებია განხილული, ინტერვენციის დაგეგმვა, ინტერვენციების შედეგები და მათი ანალიზი. V თავი ცხრილების და გრაფიკების ჩამონათვალი . VI თავი ეხება პრაქტიკული კვლევის არსს და სკოლაში მის დანერგვას. VII თავი მოიცავს ინფორმაციას კვლევის მეთოდოლოგიას და პროექტის ვადებს .აღწერილია კვლევის ჯგუფის მიგნებები, რეკომენდაციები და კვლევის ნაკლოვანებები. ანგარიშს თან ერთვის დასკვნა ,ბიბლიოგრაფია და დანართი.

ძირითადი საძიებო სიტყვები: მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდა, ცოდნის დონის ამაღლება, ჯგუფური მუშაობის ფორმები, ეფექტური სწავლების სტრატეგიები.

თავი I

საკვლევი საკითხის მიმოხილვა.

პრაქტიკული კვლევის მიზანია მოსწავლეთა ჩართულობა და აკადემიური მოსწრების ხარისხის კვლევა ინგლისური ენის გაკვეთილზე ,მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხის გაუმჯობესების გზების ძიება და მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესება.

პრობლემის აქტუალობის დასაბუთება.

მოსწავლეთა უმეტესობა დაბალი აკადემიური მოსწრებით გამოირჩევა, მათ არ გააჩნიათ სწავლისადმი არც შინაგანი და არც გარეგანი მოტივაცია .არ აქვთ საკუთარი შესაძლებლობის რწმენა, თავდაჯერებულობის უნარი. თავს იკავებენ საკუთარი აზრის დაფიქსირებისგან. უჭირთ სიტყვების სწორად წარმოთქმა. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე ამ საკითხზე კვლევის ჩატარება, რომ დამედგინა მიზეზი და შესაბამისად ინტერვენციების დახმარებით მიმეღწია მიზნისთვის.

თ ა ვ ი 2

ლიტერატურის მიმოხილვა

გაკვეთილის პროცესში მოსწავლეთა აქტიური ჩართვა აქტუალური საკითხია .მოსწავლეთა ჩართულობას აფერხებს სხვადასხვა ფაქტორი. მასწავლებლები სხვადსხვა ხერხს მიმართავენ მოსწავლეთა აქტიურობის წასახალისებლად.

შესწავლის მეთოდები

ზოგიერთ ბავშვს ახასიათებს ვიზუალური მეხსიერება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისინი უკეთესად ამუშავებენ მხედველობით ინფორმაციას. ასეთ ბავშვებს შეუძლიათ მარტივად გადმოსცენ ის, რაც თავად დაინახეს. ბავშვები კარგად იმახსოვრებენ სასწავლო მასალას, რომელიც გაფორმებულია ლამაზი გრაფიკით, ნახატებით, დიაგრამებით, ხოლო მთავარი პუნქტები გამოყოფილია მსხვილი შრიფტით.
სხვა ბავშვებს კი აქვთ სმენითი მეხსიერება. ამიტომ ისინი გაცილებით უკეთ ითვისებენ ინფორმაციას, რომელიც მოისმინეს. ხშირად იმისათვის, რომ დაიმახსოვრონ ინფორმაცია მათ სჭირდებათ მისი გამეორება ხმამაღლა ან უხმოდ. სასწავლო მასალის უკეთესად ათვისების მიზნით მშობლებმა და მასწავლებლებმა უნდა განიხილონ ისინი ასეთ ბავშვებთან.
სწორედ ამიტომ, როდესაც ვამეცადინებთ ბავშვს სახლსა თუ სკოლაში, უნდა გავითვალისწინოთ კონკრეტულად რომელ ტიპს მიეკუთვნება ის და შესაბამისად მოვძებნოთ ინფორმაციის მიწოდების მეთოდები. თუ სკოლაში გამოიყენება მეთოდები, რომლებიც არ მიესადაგება ბავშვს, ამის გამო ის შეიძლება კატასტროფულად ჩამორჩეს სწავლის პროცესს. ამიტომ მშობლებს მოუწევთ სასკოლო მეცადინეობის შემდეგ, სახლში, დამოუკიდებლად ბავშვთან ერთად გაიმეორონ განვილილი მასალა, უკვე შესაბამისი მეთოდების გამოყენებით.

ბრიტანელმა მეცნიერებმა შეიმუშავეს ე. წ CLEAR მეთოდი , რომელიც თანამონაწილეობისთვის ხელისშემშლელი ფაქტორების დიაგნოსტირებისა და მათ დასაძლევად რეკომენდაციების შემუშავების საშუალებას იძლევა, რასაც განსაზღვრავს 5 ფაქტორი (მეთოდის სახელწოდება სწორედ ამ ფაქტორთა აბრევიატურას წარმოადგენს can do ,like to, enabled to, asked to, respond to. :)

1.Can do მონაწილეებს შეუძლიათ მონაწილეობა (აქვთ სათანადო რესურსი ,ცოდნა გამოცდილება ,უნარები)

2.like to მონაწილეებს სურთ მონაწილეობა

3.enabled to არსებობს მონაწილეობის მექანიზმები.

4.asked to ხდება მსმენელთა მობილიზება

5.respond to არსებობს უკუკავშირი (მოსწავლეები ხედავენ მონაწილეობის შედეგს)

მკვლევარები აღნიშნავენ რომ ,თუნდაც ერთი ამ ფაქტორთაგანის არ არსებობისას საგაკვეთილო პროცესში მონაწილეთა მონაწილეობა და ჩართულობა სრულყოფილი ვერ იქნება .ამიტომ მნიშვნელოვანია მასწავლებელმა გაკვეთილის მართვისას აკონტროლოს აღნიშნული ფაქტორების უზრუნველყოფა გაკვეთილზე მოსწავლეთა წასახალისებლად.

მოტივაცია სწავლა სწავლების პროცესში მოსწავლის ჩართულობის უმნიშვნელოვანესი საფუძველია .

წინარე ცოდნა და საჭირო რესურსები ეხმარება მოსწავლეს ჩაერთოს გაკვეთილში .

მოსწავლეთა ორგანიზება მოსწავლეთა მობილიზების საშუალებაა.

მოსწავლეთა შეფასება ის უკუკავშირია , რომელიც შეიძლება მოსწავლეთა ჩართულობის სტიმულად იქცეს.

მოსწავლეთა მოტივაციის ზრდა მნიშვნელოვანი პედაგოგიური ამოცანაა. მოტივაცია იზრდება , როდესაც მოსწავლე ხედავს , რომ მასწავლებლის პრიორიტეტი მისი წინსვლის ხელშეწყობაა და პირიქით ,იკლებს, როდესაც მიაჩნია, რომ მასწავლებლის პრიორიტეტი მისი შედეგის განსჯა შეფასება .მოტივაცია იზრდება მაშინაც, როდესაც მოსწავლე ხედავს დავალების მიზანს , დარწმუნებულია მის საჭიროებაში, ამიტომ მნიშვნელოვანია , მასწავლებელმა გააგებინოს , რა მიზანს ემსახურება კონკრეტული დავალება , დაანახოს კავშირი სკოლაში მიმდინარე საქმიანობასა და სკოლის გარეშე ცხოვრებას შორის .

ჩართულობა თანამედროვე საგანმანათლებლო პროცესში მოსწავლეთა განსაკუთრებულ აქტიურობას მოითხოვს . ეს გულისხმობს მათ აქტიურ მონაწილეობას არა მხოლოდ განათლების მიღების , არამედ თანატოლთა სწავლების პროცესშიც . გაკვეთილზე ჯგუფური მუშაობისას , პროექტებში მონაწილეობისას , წარმოდგენების დაგეგმვისა თუ განხორციელებისას მოსწავლეები ერთმანეთს ეხმარებიან სხვადასხვა კონცეფციის უკეთ გაგებაში , უნარ-ჩვევების დაუფლება განვითარებისა და დამოკიდებულებათა ჩამოყალიბებაში , რაც თავისთავად გულისხმობს გაკვეთილის პროცესში მათ მონაწილეობას.

მოსწავლე ჩართულია სწავლის პროცესში , თუ ის მნიშვნელოვან ძალისხმევას იჩენს დავალების შესრულებისას , ზრუნავს შესრულებული დავალების ხარისხზე და ამასთან , შესრულებულ სამუშაოს მისთვის დიდი ღირებულება აქვს. ასეთი მოსწავლეები გამოხატავენ უფრო მეტი ცოდნის შეძენის სურვილს და პოზიტიურ დამოკიდებულებას სკოლისა და სწავლის მიმართ.

სასწავლო მასალები და ტექნოლოგიები International society for technology in education -ის მიხედვით ,სწავლის პროცესში ტექნოლოგიების ინტეგრირებას ძლიერი პოზიტიური ეფექტი აქვს მოსწავლეთა მიღწევებზე მხოლოდ მაშინ , თუ ეს პროცესი შესაბამისად იქნება განხორციელებული . სწავლებაში ტექნოლოგიების წარმატებით დასანერგად აუცილებელია : მასწავლებელთა გადამზადება, სასწავლო გეგმასთან შესაბამისობის დაცვა , მისი როგორც ერთ-ერთი ძირითადი სასწავლო მასალის ყოველდღიური გამოყენება , თანამშრომლობითი გარემოს შექმნა , და ა. შ

თავი 3

საკვლევი კითხვების ფორმულირება, კვლევის მიზნები და ამოცანები

კვლევის მთავარი კითხვა იყო , **თუ რა იწვევდა 5 ა კლასში გაკვეთილზე მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხის დაქვეითებას და დაბალ აკადემიურ მოსწრებას. .**

კვლევის მთავარ კითხვაში აღნიშნული პრობლემების მიზეზის დადგენაში დაგვეხმარება შემდეგ ქვე კითხვებზე პასუხის გაცემა.

➤ რა გავლენას ახდენს სწავლების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება მოსწავლეების ჩართულობაზე ?

➤ რა ინტერესები აქვთ მოსწავლეებს და როგორ მოვახდინოთ საგაკვეთილო პროცესის მოსწავლეთა ინტერესებზე მორგება ?

➤ რამდენად იგებენ მოსწავლეები გრამატიკულ კონსტრუქციებს და ლექსიკას?

➤ არის თუ არა სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ტექსტები მათთვის მისაღები შინაარსობრივი თვალსაზრისით?

➤ არის თუ არა სირთულე ტექსტების მოცულობაში ?

➤ რამდენ ხანს ანდომებენ სახლში საშინაო დავალების შესრულებას და არის თუ არა ეს დამღლელი მათთვის?

➤ ამ პრობლემის მიზეზი ხომ არ არის სწავლისთვის შესაბამისი უნარ-ჩვევების არქონა ან სიზარმაცე?

➤რა დაეხმარება მათ სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაში ?

➤ როგორი გაკვეთილი იქნება მათთვის საინტერესო?

➤ რა თემებია მათთვის საინტერესო რომელთა შესწავლაც გაზრდის მათ ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში?

აღნიშნულ კითხვებზე პასუხის გასაცემად შევიმუშავე კვლევის გეგმა.

კვლევის სანდოობის გაზრდის მიზნით მონაცემთა შეგროვების მეთოდებად გამოვიყენე ღია და დახურული ანკეტირება, ინტერვიუ, ფოკუსირებული დაკვირვება გაკვეთილზე და კითხვარები.

კვლევის მიზანი და ამოცანები

ინტერვენციის დაგეგმვამდე საჭირო იყო ჩამომეყალიბებინა პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები . ამ პრობლემასთან დაკავშირებით გავესაუბრე თანამშრომლებს , კითხვარის საშუალებით გამოვკითხე მშობლები, მოსწავლეები ,ჩავატარე დიაგნოსტიკური ტესტირება.

კითხვარი მომზადდა მშობლებისთვის და მოსწავლეებისთვის, მშობლებს კითხვარი სახლში გავუგზავნე, მათ ჰქონდათ 2-3 დღე შესავსებად. მონაწილეობა მიიღო 20 მა მშობელმა.

გამოიკვეთა რამდენიმე საკითხი.

1. მოსწავლეები 1-4 კლასამდე არ არიან დატვირთული , მასალა შედარებით მარტივია .ხოლო როდესაც მასალა რთულდება , იზრდება სასწავლო მასალის მოცულობა , რთულდება სასწავლო პროცესი .შემოდის ახალი ლექსიკა, გრამატიკული დროები, იზრდება და რთულდება ტექსტების მოცულობა.
2. ზოგიერთი მოსწავლისთვის ჩართულობის ხარისხის დაბალი მაჩვენებლის ერთერთი მიზეზი შეიძლება იყოს მე 5 კლასში განმსაზღვრელი ნიშნის შემოტანა. რადგან ზოგჯერ მოსწავლეს უჭირს თავის ცოდნის დონის განსაზღვრა და ფიქრობს რომ ნიშანი არ არის მის ცოდნასთან შესაბამისობაში, რაც იწვევს დემოტივაციას.
3. მშობლების გამოკითხვის შემდეგ ერთერთ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს მეორე სმენაში სწავლება, რადგან სკოლის შემდეგ ბავშვები ვერ ასწრებენ ყველა საგნის მომზადებას, დილით თვითონ ვერ ახერხებენ შვილების კონტროლს სამსახურის გამო. მშობლების უმრავლესობამ არ იცის უცხო ენა , რაც ხელს უშლით მათ შვილის ცოდნის კონტროლში .ამასთანავე მოსწავლეების ნაწილი სხვადსხვა წრეზე დადის (ცეკვა, სპორტი, და ა. შ) რაც ხელს უშლით მათ დროის ორგანიზებაში.

კვლევის მიზანია დავადგინო მოსწავლეების დაბალი აკადემიური მოსწრების მიზეზი და ინტერვენციების საშუალებით მოვახერხო ამ პრობლემის გადაჭრა.

თავი 4
კვლევის მეთოდების განხილვა

მონაცემთა შეგროვების თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებით გამოიკვეთა რომ, მოსწავლეების მოტივაცია არც თუ ისე მაღალია , თუმცა დაკვირვების შედეგად გამოჩნდა , რომ მათი ჩართულობა ნაკლებია. ვინაიდან არცთუ ისე ხშირად ვიყენებ სწავლების სხვადასხვა ინტერაქტიულ სტრატეგიებს და ამასთანავე ძალიან იშვიათად ვიყენებ ტექნოლოგიებს.

ზემოთხსენებული ინფორმაციაზე დაყრდნობით შევიმუშავე მეთოდები რომელიც დამეხმარება მოსწავლეთა გაკვეთილზე ჩართულობის გაზრდაში .(ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, დიფერენცირებულ ჯგუფებში სწავლება, ისტ -ის გამოყენება kahoot.it პროგრამის საშუალებით, სიმულაციური ამოცანები და როლური თამაშები .რაც მთავარია თითოეული ეს აქტივობა პასუხობს ე ს გ თი განსაზღვრულ მიზნებს.

ინტერვენციის დაგეგმვა

შედეგებზე დაყრდნობით დაიგეგმა შემდეგი ინტერვენციები:

1.ვიდეოს ნახვა და განხილვა სწავლის მოტივაციასთან დაკავშირებით.

მოსწავლეებთან გასაუბრებისას აღმოჩნდა რომ მათ არ აქვთ საკუთარი თავის რწმენა, ფიქრობენ რომ მათ არ შეუძლიათ ინგლისური ენის შესწავლა. უჭირთ სიტყვების და ფრაზების დამახსოვრება. იმისთვის რომ დამერწმუნებინა მოსწავლეები რომ მათ შეუძლიათ ყველაფრის შესწავლა , მთავარია მხოლოდ სურვილი და შრომა, ვნახეთ ვიდეო" შენ ყველაფრის სწავლა შეგიძლია" და მოისმინეს მინი ლექცია თუ როგორ მივაღწიოთ წარმატებას.(სასურველ შედეგს).

2.განსაკუთრებული პასუხისმგებლობით დაიგეგმა როლური თამაშები , ჯგუფური და წყვილებში მუშაობა, ოთხი თვის განმავლობაში .

შეიქმნა თანაბარი სიძლიერის ჯგუფები (დიაგნოსტიკური ტესტის საშუალებით), რომლებშიც წარმატებული მოსწავლეები ეხმარებოდნენ დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებს.

დიფერენცირებულ ჯგუფებში მუშაობის დროს მოსწავლეები მუშაობდნენ იმ საკითხებზე რომელიც მათი ცოდნის შესაბამისი იყო.

ჯგუფური მუშაობის დროს მოსწავლეები ერთად ამუშავებდნენ და აანალიზებდნენ უცხო ტექსტს და გრამატიკულ დროებს იყენებდნენ პრაქტიკულ სავარჯიშოებში.

აფასებდნენ საკუთარ თავს და შემდეგ ერთმანეთს, აძლევდნენ უკუკავშირს, და ამბობდნენ აგრეთვე თუ რა უნდა გააკეთონ უკეთესი შედეგის მისაღებად.

3.გაკვეთილის ბოლოს ყველა მოსწავლის შედეგის შესაფასებლად გამოვიყენე kahoot.it პროგრამა , რაც დამეხმარა მოსწავლეებს ჩართულობის გაზრდაში.

ინტერვენციების შედეგები და მათი ანალიზი

ინტერვენციების განხორციელებამ მეტნაკლებად დადებითი შედეგები გამოიღო კლასის უმრავლესობისთვის. ორ მოსწავლეს, რომელსაც უჭირს კითხვა და ზოგჯერ ასო ბგერების ამოცნობაც, გაუჭირდათ სასწავლო პროცესში ჩართვა , თუმცა

დაკვირვებამ აჩვენა რომ , როგორც წარჩინებული , ისე აკადემიურად ჩამორჩენილი მოსწავლეები ინტერესით და ხალისით მუშაობდნენ ჯგუფურად , იყვნენ აქტიურად ჩართული სასწავლო პროცესში . ჯგუფური მუშაობის დროს ავლენდნენ თანამშრომლობის უნარებს, ეხმარებოდნენ ერთმანეთს, იზიარებდნენ ერთმანეთის აზრს. მაღალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეები ეხმარებოდნენ სუსტ მოსწავლეებს დავალების შესრულებაში, რაც მათ მეტ თავდაჯერებულობას მატებდათ . ისინი ერთად მუშაობდნენ და აკეთებდნენ ტექსტის ანალიზს, იწერდნენ ახალ სიტყვებს და გამოთქმებს. სცემდნენ კითხვებზე პასუხს და ბოლოს აკეთებდნენ პრეზენტაციას. მე ვფიქრობ რომ kahoot.it პროგრამის გამოყენებამ შესაძლებლობა

მომცა ყველა მოსწავლის მიერ შეძენილი ცოდნა შემემოწმებინა გაკვეთილის ბოლოს. ჯგუფური მუშაობის დროს , ყველა მოსწავლის ცოდნის შემოწმება ვერ ხერხდება ერთ გაკვეთილზე ,სწორედ ამ პროგრამის საშუალებით მოვახერხე მათი ჩართულობის ხარისხის გაზრდა საგაკვეთილო პროცესში რადგან მათ იცოდნენ რომ გაკვეთილის ბოლოს ინდივიდუალურად მოუწევდათ პასუხების დაფიქსირება გაკვეთილზე განხილული მასალის მიხედვით. ამ მეთოდის გამოყენებამ გაამართლა ,ბავშვები დიდი სიხარულით ასრულებდნენ დავალებას იმის მოლოდინით რომ დაემტკიცებინათ თავიანთი შესაძლებლობები და ეამაყათ მიღწეული შედეგებით, რაც მატებდა მათ თავდაჯერებულობას.

დიფერენცირებულ ჯგუფებში მოსწავლეები განაწილებული იყვნენ დიაგნოსტიკურ ტესტებში მიღებული ქულების მიხედვით .ყველა ჯგუფს ცოდნის დონის შესაბამისი დავალება ჰქონდა. სამუშაოს მეტნაკლებად კარგად გაართვეს თავი ,თუმცა დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებს დასჭირდათ უფრო მეტი დახმარება ჩემი მხრიდან. მთავარი იყო ის რომ ყველა მოსწავლე მუშაობდა თავის ცოდნის შესაძლებლობიდან გამომდინარე და თვითონ იყვნენ კმაყოფილები და უფრო თავდაჯერებულები.

მოსწავლეები ხალისით ერთვებოდნენ როლურ თამაშებში. დიდი მონდომებით სწავლობდნენ დიალოგებს და განასახიერებდნენ მოქმედ გმირებს. მათ თვითონვე შევაქმნევინე მოქმედი გმირების ნიღბები და ამის გამოყენებით ახდენდნენ ინსცენირებას.

მონაცემთა შეგროვებამ და და შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ

➤მოსწავლეები დიფერენცირებული სამუშაოს და KAHOOT ის პროგრამის გამოყენების დროს უფრო მეტად იყვნენ ჩართული საგაკვეთილო პროცესში , იყვნენ უფრო დავდაჯერებულები და არ უნდოდათ გაკვეთილი რომ დასრულებულიყო. მთხოვეს ხშირად გამოგვეყენებინა ეს პროგრამა გაკვეთილზე.

➤ფოკუსირებულმა დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ დაბალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეები ვერ აკეთებენ ტექსტების თარგმანს და უჭირთ გრამატიკული სავარჯიშოების შესრულება აქედან გამომდინარე, ვერ გებულობენ მასალას და ამიტომ ეცემა მათი მოტივაცია.

➤დიაგნოსტიკური წერის შედეგების ანალიზმა გვიჩვენა, რომ მოსწავლეთა 9% -მა დაიმსახურა არადამაკმაყოფილებელი შეფასება, 61% -მა - საშუალო,19% -მა - საშუალოზე მაღალი და 9%-მა - მაღალი;

➤მშობლების გამოკითხვის შემდეგ ,როგორც ზემოთ ავღნიშნე ,ერთერთ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს მეორე სმენაში სწავლება, რადგან სკოლის შემდეგ ბავშვები ვერ ასწრებენ ყველა საგნის მომზადებას, დილით თვითონ ვერ ახერხებენ შვილების კონტროლს სამსახურის გამო. მშობლების უმრავლესობამ არ იცის უცხო ენა , რაც ხელს უშლით მათ შვილის ცოდნის კონტროლში. ამასთანავე მოსწავლეების ნაწილი სხვადსხვა წრეზე დადის (ცეკვა, სპორტი, და ა. შ) რაც ხელს უშლით მათ დროის ორგანიზებაში.

ღია და დახურული ანკეტირების საფუძველზე გამოიკითხა 21 მოსწავლე . დადგინდა რომ

- გაკვეთილი საინტერესოა როცა მასწავლებლები ისტ-ით გამდიდრებულ გაკვეთილს ატარებს. მოსწონს 90% , არ მოსწონს 10 % ს.
- ჯგუფური მუშაობა მოსწონს 60% ს, არა აქვს მნიშვნელობა გაკვეთილის სტილს 40%
  - სახელმძღვანელო მოსწონს 60% , 30 % ს არ მოსწონს , 10 % სთვის არ აქვს მნიშვნელობა.
  - სახელმძღვანელოში არსებული ტექსტები მისაღებია 45 % თვის, არ მოსწონს 35 % ს, უკეთესიც შეიძლება 20 % სთვის.
  - საშინაო დავალების შესრულებას 1 საათზე მეტს ანდომებს 20 %, 1 საათს 30 % , ნახევარ საათს ანდომებს 50 %.
  - დაბალი ქულების მიზეზად 45 % მიიჩნევს სიზარმაცეს, 25 % თვლის რომ არ აქვს საკმარისი უნარი ენის შესასწავლად, 30 % ცეკვაზე და სხვა წრეებზე სიარულს ასახელებს.

ღია კითხვებში მოსწავლეებმა დააფიქსირეს საკუთარი შეხედულებები . კითხვაზე თუ რატომ სურთ ინგლისური ენის შესწავლა , მოსწავლეებმა აღნიშნეს რომ, ზოგი მათგანი სპორტიდან და ცეკვიდან მიდის სხვადასხვა ქვეყნებში , ზოგს სწავლის გასაგრძელებლად , კომუნიკაციისთვის და ზოგს ინტერნეტში მასალის წასაკითხად სჭირდება. თუმცა მყავს ორი მოსწავლე რომელიც დრო და დრო თვალების პრობლემის გამო ხშირად ვერ ერთვება საკლასო სამუშაოს შესრულებაში. ზოგი ფიქრობს რომ თავიდან დაწყება სჭირდება , რადგან ვერ ეწევა სასწავლო პროგრამას. კითხვაზე როგორი გაკვეთილი იქნებოდა მათვის საინტერესო , მოსწავლეებმა აღნიშნეს რომ მათთვის საინტერესო იქნებოდა ისტ ით გამდიდრებული გაკვეთილები , ფილმების ყურება, გარჩევა, უფრო მეტი სასაუბრო ფრაზების შესწავლა, მრავალფეროვანი აქტივობები, როლური თამაშები.
აღნიშნული აქტივობები , მართლაც შეესაბამება თანამედროვე სწავლების მოთხოვნებს.
, თუმცა მათი ხშირი გამოყენება ვერ ხერხდება, რადგან წინასწარ სჭირდება სასწავლო რესურსის მომზადება, რაც დამატებით დროს და ფინანსურ ხარჯებს მოითხოვს .ამ მეთოდებით სწავლა არის სახალისო და შემოქმედებითი, რაც მოსწავლეების უმრავლესობის გაკვეთილზე ჩართულობას უზრუნველყოფს.

თავი V

ცხრილების და გრაფიკების ჩამონათვალი

დიაგნოსტიკური ტესტის შედეგები

10-9	8-7	6-5	4-3	2-1
2 მოსწავლე	4 მოსწავლე	13 მოსწავლე	2 მოსწავლე	

კაჰუთის პროგრამის ტესტის შედეგები

	I კაჰუთი	II კაჰუთი	III კაჰუთი
	5,1	5,9	7,5

კვლევის ბოლოს ჩატარებული ტესტის შედეგები

10-9	8-7	6-5	4-3	2-1
4 მოსწავლე	7 მოსწავლე	9 მოსწავლე	1 მოსწავლე	

მოგწონთ თუ არა კაჰუთის პროგრამის გამოყენებით ჩატარებული გაკვეთილი?



მოგწონთ თუ არა ჯგუფში მუშაობა?



მოგწონთ თუ არა სახელმძღვანელო რომლითაც სწავლობთ?



მოგწონთ თუ არა ტექსტები , რომელიც არის მოცემული წიგნში?



რა დროს უთმობთ ინგლისური ენის დავალების და გაკვეთილის მომზადებას.?



თავი VI

პრაქტიკული კვლევის არსი და სკოლაში მისი დანერგვა

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მოთხოვნაა მასწავლებლებში პრაქტიკული კვლევის კომპეტენციის უნარის ფლობა მასწავლებელი კოლეგებთან ერთად გეგმავს სპეციალურ კვლევით სამუშაოებს , ახორციელებს მათ და იყენებს პრაქტიკულ საქმიანობაში (პროფესიული განვითარება , მუხლი 133,)

1)შეუძლია საკვლევი საკითხის დამოუკიდებლად განსაზღვრა, კვლევის ჩატარება, მონაცემთა დამუშავება-ინტერპრეტაცია, კვლევის შედეგების გამოყენება ,საკუთარი და კოლეგების პრაქტიკის გასაუმჯობესებლად.(პროფესიული განვითარება მუხლი 139)

2) სწორედ ამიტომ “მასწავლებლის საქმიანობის დაწყების პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის “ მიხედვით წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად ერთ ერთი სავალდებულო აქტივობაა საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკაში იდენტიფიცირებული საჭიროებების ანალიზის საფუძველზე პრაქტიკული კვლევის განხორციელება , ხოლო მენტორის სტატუსის მოსაპოვებლად პრაქტიკული კვლევის განხორციელება სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე.

კვლევა არის ახალი ცოდნის ძიება , მისი სისტემატური დოკუმენტირებადა გაფორმება კვლევის ანგარიშის ,სტატიის , პროექტის და სხვა სახით.

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა მიეკუთვნება გამოყენებით კვლევათა რიცხვს .ეს არის პროფესიული სიტუაციების სისტემური კვლევა ,ჩატარებული მასწავლებელთა მიერ საკუთარი პროფესიონალიზმის დახვეწის , სასწავლო პროცესის და მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების მიზნით.

პროფესიონალია მასწავლებელი , რომელსაც შეუძლია პედაგოგიური საქმიანობის დროს წამოჭრილი პრობლემების იდენტიფიცირება, მისი გადაჭრის გზების ძიება, პოვნა, ახალი იდეების , სტრატეგიების პედაგოგიურ პრაქტიკაში დანერგვა. პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა მარტო წამოჭრილი სიძნელეების დროს კი არ არის საჭირო , არამედ ახალი იდეების , ინოვაციების გამოსაცდელად.

ამრიგად , პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა არის პედაგოგების , დირექტორების მიერ ჩატარებული ნებისმიერი სახის მეთოდური გამოკვლევა კონკრეტული მასწავლებლის , სკოლის საქმიანობის , სწავლა სწავლების და მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შესახებ ინფორმაციის შეგროვების და გაუმჯობესების მიზნით.

პრაქტიკის კვლევის განმახორციელებელმა პირებმა უნდა გააცნობიერონ, რომ კვლევაში ჩართვა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საუკეთესო საშუალებაა, პროფესიულად მზარდი მასწავლებელი მუდმივად განაახლებს საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკას, რაც სკოლაში სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებისა და მოსწავლეთა მოსწრების გაუმჯობესების აუცილებელი პირობაა.

ჩემ მიერ განხორციელებული კვლევა და კვლევის შედეგების გაზიარება დაეხმარება კოლეგებს თვითონ წარმართონ პედაგოგიური კვლევა, პედაგოგიური პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით. ადმინისტრაციას საშუალებას მისცემს კვლევის შედეგების გაცნობით დააკვირდნენ მოსწავლეთა სწავლა-სწავლების პროცესს.

თავი VII

პროექტის ვადები, მიზნები , რეკომენდაციები, კვლევის ნაკლოვანებები, დასკვნა ,ბიბლიოგრაფია.

აქტივობები	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი
პრობლემის იდენტიფიცირება	X			
კვლევის გეგმის შემუშავება	X			
კითხვარის	X			

შედგენა				
კითხვარის შევსება მშობლები მიერ		**X**		
კითხვარის ანალიზი		X		
მოსწავლეთა ანკეტირება	X			
მონაცემების ანალიზი	X			
სამოტივაციო ვიდეოს ნახვა , განხილვა	X			
დიაგნოსტიკური ტესტის დაწერა	X			
შედეგების მიხედვით მოსწავლეთა დაჯგუფება		X		
მოსწავლეებისთვის თვითშეფასების კითხვარის შემუშავება მათი მონაწილეობით	X			
თვითშეფასების ფორმის შევსება		**X**	**X**	**X**
მიღებული შედეგების ანალიზი				**X**
ინტერვენციების დაგეგმვა	X			
I ინტერვენციის განხორციელება		**X**		
I I ინტერვენციის			**X**	

განხორციელება				
| | | ინტერვენციის განხორციელება			X	
ინტერვენციებ ი ს შედეგების ანალიზი				X

მიგნებები და რეკომენდაციები

კვლევის შედეგების ანალიზის მიხედვით შეიძლება ითქვას რომ სასურველია შეიცვალოს სახელმძღვანელოებში მოცემული ზოგიერთი ტექსტი ,სადაც მეტნაკლებად საინტერესო და გამოუყენებელი ტექსტებია წარმოდგენილი ,რაც მოსწავლეებს უკარგავს სწავლისადმი ინტერესს, თემატიკა შერჩეული უნდა იყოს მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. ასევე ლექსიკა უნდა იყოს თანამედროვე რათა აქტიურად შეძლონ მოსწავლეებმა მისი პრაქტიკაში გამოყენება,. სახელმძღვანელოში უნდა იყოს უფრო მეტი სასაუბრო აქტივობები, რათა მოსწავლეებს გაუადვილდეთ ნასწავლის ტრანსფერის უნარი, შეძლონ საჭიროებისამებრ გამოიყენონ საუბარში ნასწავლი მასალა. სასურველია მეტი ისტ-ით გამდიდრებული გაკვეთილების ჩატარება, რაც საკმაოდ რთული განსახორციელებელია იმ პირობებში როგორშიც გვიწევს მუშაობა. ისტ-ით გამდიდრებული გაკვეთილების ჩასატარებლად არ გვაქვს შესაბამისი საკლასო ოთახები. მასწავლებელს თვითონ უწევს პროექტორის გაკვეთილამდე გამართვა რათა ჩაატაროს ისტ-ით გამდიდრებული გაკვეთილი. რაც ძალიან შრომატევადი საქმეა. ამიტომ ამის გაკეთება ხშირად ვერ ხერხდება. ერთერთი რეკომენდაცია შეიძლება იყოს ის რომ სასურველი იქნება თუ გვექნება შესაძლებლობა რომ ხშირად გამოვიყენოთ ტექნოლოგიები გაკვეთილზე, ასევე მოსწავლეები ვამუშაოთ ხშირად ჯგუფებში, მიიღონ მონაწილეობა დისკუსიებში, რათა მიეჩვიონ საკუთარი აზრის დაფიქსირებას და მის დაცვას.

რაც შეეხება მოსწავლეების მიერ თვითშეფასების ფორმის შევსებას, მოსწავლეები თავდაპირველად დიდი ხალისით ავსებდნენ , მაგრამ აღმოჩნდა რომ მოსწავლეების გარკვეული ნაწილი არაობიექტურ შეფასებას იწერდა. მაღალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეები ხალისით აფერადებდნენ შესრულებულ პუნქტებს , ხოლო დაბალი და საშუალო აკადემიურ მოსწრების მოსწავლეებს არ მოსწონდათ გაუფერადებელი უჯრები , ამიტომ ყველა დავალების აღმნიშვნელ პუნქტს აფერადებდნენ, მიუხედავად იმისა რომ თავიდანვე ავუხსენი ამ ფორმის შევსების მიზანი, რომ ეს არ აისახებოდა განმსაზღვრელ შეფასებაზე, ეს მხოლოდ დაეხმარებოდა მათ გაეკეთებინათ თვით შეფასება, რა შეასრულეს და რა ვერ, და შემდეგში ნელ ნელა გაეუმჯობესებინათ შედეგები.

შეიძლება ითქვას რომ კვლევა მეტნაკლებად წარმატებით ჩატარდა .საკითხისადმი ინტერესი გამოიჩინეს როგორც მოსწავლეებმა ისე მშობლების ნაწილმა. მეტნაკლებად გაუმჯობესდა შედეგები პირველ სემესტრთან შედარებით. თუმცა ვფიქრობ უკეთესი შედეგის მიღებაც შეიძლებოდა .ხელი შემიშალა პირადად მე მოსწავლეების მიერ გაცდენებმა, გარკვეული პერიოდი ცეკვის კონცერტის გამო აცდენდა მოსწავლეების გარკვეული რაოდენობა ,რამაც შეაფერხა უკეთესი შედეგების მიღება. **დასკვნა** მიმაჩნია რომ ,ცვლილებები უნდა განხორციელდეს სწავლების მეთოდებთან მიმართებაში სწავლება-სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. უნდა შევძლოთ ხშირად ჩავატაროთ ისტ ით გამდიდრებული გაკვეთილები. უნდა შეგვეძლოს 21 ე საუკუნისთვის საჭირო უნარ ჩვევები გამოვუმუშაოთ ბავშვებს, რათა გახდნენ კონკურენტუნარიანები მსოფლიო გამოწვევების წინაშე.

კვლევის ნაკლოვანებები

კვლევის ნაკლოვანებად შეიძლება ჩაითვალოს ის რომ მოსწავლეების გარკვეული ნაწილი აცდენდა ცეკვის კონცერტის მზადების გამო და ვერ იღებდა ყველა ინტერვენციის დროს ჩატარებულ აქტივობაში მონაწილეობას. განსაკუთრებით დასწყდათ გული ქაჰუთის პროგრამით ჩატარებულ გაკვეთილზე. სასურველი იქნებოდა ყველა მოსწავლე რომ ყოფილიყო ჩართული , მაგრამ ვთვლი რომ შესაძლებელია მხოლოდ უმნიშვნელო ცვლილება ყოფილიყო.

ბიბლიოგრაფია

რეკომენდაციები დირექტორებისა და მასწავლებლებისათვის მშობელთა ჩართულობა თბილისი 2015

http://kargiskola.ge/parent/pdf/PE_GUIDE_2015.pdf

როგორ გავაუმჯობესოთ მოსწავლის აკადემიური მოსწრება?

https://edu.aris.ge/news/rogor-avamaRloT-moswavlis-akademiuri-moswreba.html

http://iliauni.edu.ge/uploads/other/1/1460.pdf

ზურაბიშვილი თ. „თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში“ სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი 2006 წ. http://old.ucss.ge/geo/publication/publications_detail.php?ID=173

. ლობჯანიძეს. „როგორ წარვმართოთ პედაგოგიური კვლევები“ ინტერნეტჟურნალი „მასწავლებელი“ 2012 წლის 3 მაისი. http://mastsavlebeli.ge/?p=281

. გიორგაძე მიხ. „როგორ ვიმუშაოთ პედაგოგიურ კვლევებზე?“ / ციფრული რესურსიhttp://www.slideshare.net/mylenss/ss-15892201

გაკვეთილის პროცესის წარმართვაში მოსწავლეთა მონაწილეობის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები (29 აგვისტო, 2014) მანანა ბოჭორიშვილი http://mastsavlebeli.ge/?p=1915

create.kahoot.it

ყველაფრის სწავლა შეგიძლია

https://www.youtube.com/watch?v=tnulZiOyths

დანართი

მშობლის კითხვარი

მოგესალმებით!

ინგლისური ენის მასწავლებელი თამარ ზურაბაშვილი ვატარებ კვლევას 5ა კლასში აკადემიური მოსწრების და გაკვეთილზე ჩართულობის გასაუმჯობესებლად. თქვენი, როგროც მშობლის მონაწილეობა და მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანია .თქვენგან მიღებული ინფორმაცია ანონიმურია.

მოსწავლის სახელი და გვარი----------

1.რას აკეთებს თქვენი შვილი თავისუფალ დროს?(რა არის მისი ჰობი)

2.?რომელი დამატებითი აქტივობით არის დაკავებული მოსწავლე(ცეკვა, სპორტი, და აშ.)

3.რა დროს უთმობს მოსწავლე ინგლისური ენის გაკვეთილის მომზადებას?

4.რამდენად რთული ან მარტივია მისთვის გაკვეთილის მომზადება,(თქვენი აზრით რა არის ამის მიზეზი)-

---

5 ვინ და რამდენად ხშირად აკონტროლებს მოსწავლის მზაობას ინგლისური ენის გაკვეთილისთვის?--
---

6.რამდენად ხშირად ამოწმებთ საშინაო დავალების რვეულს?

7.არსებობს თუ არა ბარიერი, რომელიც მშობელს ხელს უშლის სწავლის პროცესში მონაწილეობის მიღებაში?

- ენობრივი ბარიერი
- მოუცლელობა ბავშვზე ზრუნვის გამო
- ოჯახური პირობები
- დრო
- სხვა ----------

8.ხართ თუ არა ინფორმირებული თქვენი შვილის მიმდინარე აკადემიური მოსწრების შესახებ ინგლისურ ენაში.

ა)ყოველთვის ბ) ზოგჯერ გ)იშვიათად

9.თქვენი აზრით არის თუ არა თანხვედრაში თქვენი შვილის ცოდნა მიმდინარე აკადემიურ მოსწრებასთან.

--

10. რჩევა რომელიც შეიძლება გავითვალისწინო თქვენს შვილთან სწავლის პროცში.

Class 5

Diagnostic tests

Date---------.02.2018

Full name----------

1 ____'s your name? Thomas

a How
b Who
c What
d Where

2 This is Lucy and her brother, Dan. ____ my friends.
a We're
b I'm
c You're
d They're

3 ____? I'm from Italy.
a Where are you from?
b Where you are from?
c Where from you are?
d From where you are?

4 Your bag is next ____ the table.
a on
b to
c in
d of

5 ____ are the keys? On the table.
a What
b When
c Where
d Who

6 I go to work ____ train.
a with
b by
c for
d in

7 She ____ a dog.
a not have
b don't have
c don't has
d doesn't have

8 Stephen ____ in our company.
a work
b works
c is work
d working

9 ____ they live in London?
a Are
b Is
c Do
d Does

10 When do you play tennis? ____ Mondays.
a On
b In
c At
d By

11 ____ two airports in the city.
a It is
b There is
c There are
d This is

12 She was born ____ May 6th, 1979.
a in
b at
c on
d from

13 I ____ my computer very often.
a am not using
b don't use
c doesn't use
d am not use
e

II Read and circle.

1. There isn't **some / any** water.
2 Susie's got **some / any** sandwiches.
3."**Do / Did** you have a good time?" "Yes! It was great."
4 "Betty **didn't watch / didn't watched** television yesterday
5"Who did you **saw / see** at the shopping centre?" "I saw my friend Peter."
6There **was / were a**n expensive blue dress at the clothes shop.
7"Is the plane **slower than / the slowest** the car?" "No, it isn't."
8 "Whose suitcases are those?" "They're **mine / my**."
9.A shark is **more dangerous / dangerous** than a whale.
10.Which is **more interesting / the most interesting** subject at school?
11.A ship is **the most expensive / more expensive than** a bicycle.
12. I think that swans are **the most / more** beautiful birds in the world.
13.Sally is **the most polite / more polite than** of the three sisters.
14.Science is **more than / the most** difficult subject at school.

6. Write sentences starting with While.

1 the girls (do) homework the boys (play) football

---

2 Mum (cook) Dad (watch) television

Final test

Name: ---------- Class 5 a

Date:28.05 .2018

1.Complete the sentences , circle the right answer.

1 The Chinese a) ----------ed many things. The most useful was b) ----------

because people could then write books.

a) invent / map b) salt / paper

2 At the beginning, they used paper a) ----------to b)---------- things.

a) just / still b) ink / wrap

3 Chinese a)---------- s discovered that a special stone made a metal

b) ----------point to the north.

a) scientist / problem b) flame / needle

4 The a) ----------helped people find their way on land and at sea, even when it was b) ----------dark.

a) compass / block b) completely / display

5 Another Chinese a)---------- was gunpowder. They b)---------- ed different kinds of salt and heated them.

a) definitely / discovery b) mix / discovery

6 The Chinese used the gunpowder to make a)---------- s. You can b)---------- see their fireworks at a fireworks display.

a) firework / silk b) block / still 12/

2.Read and circle.

1.If you **study / will study** hard, you will pass your exam.

2. You **will be / are** sick if you eat all that ice cream.

3. I will bake a cake for your birthday if you **buy / will buy** some eggs.

4. "I can't answer this Math's question." "If you phone Beatrix, she **helps / will help** you."

5.. If you **are not / will not be** quiet, you will not go to the museum.

6.. We **will go / go** skiing tomorrow if it snows tonight. 6/

3.Complete the sentences. Use words with *igh*.

1 You can see the moon and the stars shine in the sky at n---------- .

2 Turn on the l---------- , please. It's dark in here.

3 Fireworks fly h--------- in the sky.

4 Please don't f ----------, boys! 4/

4.Answr the questions

1. Who invented paper?----------

2.What two things did they use tor printing on paper?----------
---

3.How old is the oldest book?----------

4.What did sailors first us to find north, south , east and west?----------
---

5.What happened to the mixture of salts when it was heated?----------
---

6.Which invention is the most useful and why?----------

---------- 12/

5.Complete the sentences.

1.If I go to the mall tomorrow----------

2.I'll be very happy if----------

3.Our teacher will be cross if ----------

4.If the weather is bad tomorrow, ----------

5.I'll read this book if----------

10/

44/----------

თვითშეფასების ფორმა

თვე და რიცხვი	**1.02**								
დავალების შესრულება	**X**								
გაკვეთილის ცოდნა	**X**								
გაკვეთილში ჩართულობა									
საჭირო ნივთების									

ქონა									

შესრულების შემთხვევაში ვაფერადებთ შესაბამის უჯრას.

შეუსრულებლობის შემთხვევაში ვწერთ X

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის

რ ე ფ ლ ე ქ ს ი ა

მასწავლებელი : თამარ ზურაბაშვილი

ქალაქ თბილისის # 172 საჯარო სკოლაში ჩავატარე პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა „მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების და ჩართულობის ხარისხის გაუმჯობესების გზების კვლევა მე 5 ა კლასში ინგლისური ენის გაკვეთილზე "

კვლევის მიზანი იყო დამედგინა მოსწავლეების დაბალი აკადემიური მოსწრების მიზეზი და ინტერვენციების საშუალებით მომეხერხებინა ამ პრობლემის გადაჭრა.

მიღებული შედეგი მეტნაკლებად დადებითია და ვთვლი რომ შეიძლებოდა მისი კოლეგებთან გაზიარება.

კვლევა განხორციელდა 2018 სასწავლო წელს მე-5 ა კლასში , გრძელდებოდა 4 თვის მანძილზე. კვლევა ჩატარდა როგორც თვისებრივი ,ისე რაოდენობრივი თვისებების გამოყენებით ,ინსტრუმენტებს კი წარმოადგენდა ფოკუსირებული დაკვირვება , ინტერვიუ ,ღია და დახურული ანკეტირება და კითხვარი. შედეგის მისაღწევად გამოყენებული იქნა ინტერვენციები რომლებიც კვლევის პროცესში საჭიროებიდან გამომდინარე დაიგეგმა.

ინტერვენციების დაგეგმვამდე გავესაუბრე კოლეგებს, ვინც მათ ასწავლიდათ მე 5 კლასამდე , მშობლებს ვთხოვე კითხვარის შევსება, სახლში გავატანე , რომ მშვიდ გარემოში აჩქარების გარეშე შეევსოთ. მოსწავლეთა გამოკითხვა, ანონიმური ღია

და დახურული ანკეტირება ,ვაწარმოე წერილობითი ფორმით. ჩავატარე დიაგნოსტიკური ტესტირება, შედეგებით არცთუ ისე კმაყოფილი დავრჩი.

დავგეგმე ინტერვენციები ამ პრობლემების მოსაგვარებლად.

1. ვნახეთ სამოტივაციო ვიდეო“ შენ ყველაფრის სწავლა შეგიძლია”. მოსწავლეები განსაკუთრებით დიდი ინტერესით უყურებდნენ . ამ ვიდეოს ნახვა გადამაწყვეტინა მათთან გასაუბრებამ, რადგან უმრავლესობა თვლიდა რომ არ შეეძლოთ ინგლისურის სწავლა.
2. ვიმუშავეთ დიფერენცირებულ ჯგუფებში, წყვილებში, ვთამაშობდით როლურ თამაშებს. ჯგუფური მუშაობის დროს , როდესაც დიფერენცირებულ დავალებებს ასრულებდნენ უფრო მეტი მოსწავლე ერთვებოდა სასწავლო პროცესში, რადგან დავალებები ცოდნის შესაბამისი იყო, თუმცა უნდა ვაღიარო რომ ასეთი მუშაობა ბევრ რესურს და გაკვეთილის წინა დღეს დიდ დროს მოითხოვს.
3. მოსწავლეებისთვის საინტერესო იყო ისტ–ით გამდიდრებული გაკვეთილები, კერძოდ კაჰუთის პროგრამა,. დიდი ინტერესი გამოიწვია ნასწავლი მასალის კაჰუთის პროგრამის ტესტებით შემოწმებამ. გაკვეთილზე მოსწავლეების ჩართულობა გაიზარდა ამ პროგრამის გამოყენებით.
4. თვითშეფასების კითხვარის წარმოებამ ვფიქრობ არ გაამართლა , რადგან როგორც კვლევაში ავღნიშნე არაობიექტურ შეფასებას ჰქონდა ადგილი , მოსწავლეები შეუსრულებულ პუნქტებს აფერადებდნენ.

კვლევის შედეგების გაზიარება საინტერესო აღმოჩნდა კოლეგებისთვის. დაინტერესდნენ შედეგებით და გაუჩნდათ სურვილი საკუთარი პრაქტიკის კვლევა განახორციელონ. თუმცა ზოგი ცოტა ეჭვის თვალით უყურებს ამ პროცესების განხორციელებას , რადგან თვლიან რომ დროის უბრალო ხარჯვაა და ეს ალბათ სწავლის პროცესში ვერ დაეხმარებათ. ვისთვისაც კვლევის გაზიარება დადებითი იყო ,მიიჩნევენ რომ თვითონაც განახორციელებენ საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკის კვლევას.